პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

 პარასკევი 24 აპრილი 1925 წ.

წლიწადი მეხუთე ფასი 3 კ.—თ ვიურდ 60 კ.

# წითელი არმიელი

№ 89 (787) | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელსმენი 2—24
განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კ. ნომპ. სტრ.

## წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია შესრულებულ უნდა იქმნას ბოლომდი.

თავი და თავი პირობა წითელ-არმიელების სამხედრო-პოლიტიკური და კულტურული წარმატებით აღზრდისათვის არის წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია ნაწილებში. წერა-კითხვის არ მცოდნე წითელი-არმიელი ვერას დროს ვერ იქნება თავის მაღალ მოწოდების სიმაღლეზე. ის ვერასოდეს ვერ შეითვისებს ნაყოფიერად საჭირო ცოდნას პოლიტიკურ და სამხედრო დარგში. მაშასადამე ის ვერ იქნება ისეთი მეომარი, როგორიც უნდა იყოს პროლეტარული რევოლიუციის ჯარისკაცი და მუშურ-გლეხური ხელისუფლების დამცველი.

ამიტომაც როდესაც წითელი არმიის რიგებში მოდის ახალგაზრდა გლეხი ან მუშა, რომელსაც ანბანის არაფერი არ გაეგება, მას პირველ ყოვლისა აწყებინებენ წერა-კითხვის სწავლას. როცა წითელი არმიელი ისწავლის წერასაც და კითხვას მისთვის გზა ფართედ არის გახსნილი სათანადო პოლიტიკური და სამხედრო მომზადების მისაღებად.

ამიტომაც ჩვენი ამოცანაა არც ერთი წერა-კითხვის უცოდინარი წითელი არმიელი არ უნდა იყოს ნაწილში, ვინაიდან ამას მოითხოვს წითელი არმიის გაძლიერების და განმტკიცების ინტერესები. უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ წრეულს ქართულ ნაწილებმა კარგ შედეგებს მიაღწიეს. წერა-კითხვის უცოდინარობა თითქმის მოსპობილად უნდა ჩაითვალოს, მაგრამ ზოგიერთ ნაწილებში კიდევ არიან თითო ოროლა ჩამორჩენილები ამ მხრივ.

ამის მიზეზია უმთავრესად ობიექტიური პირობები. მაგრამ მიუხედავათ ამისა საჭიროა ნაწილების ხელმძღვანელებმა დაუყონებლივ მიიღონ ყოველგვარი ზომები წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის ჩამორჩენილ წითელ-არმიელთა შორის. ამას მოითხოვს საზაფხულო მეცადინეობის წარმატებით ჩატარების საქმე. საბანაკოთ გასვლის დროს ჩვენი ჯარის რიგებში არ უნდა იყოს არც ერთი წერა კითხვის უცოდინარი მოლაშქრე.

ამასთანავე წითელ-არმიელებს უნდა მივუთითოთ შემდეგ გარემოებაზე. მარტო წერა-კითხვის შესწავლა არ კმარა. საჭიროა მიღებული ცოდნის მეტი გაფართოვება და გაღრმავება. თუ ისწავლე წერა-კითხვა და შემდეგ არ იმეცადინე, გაწეული შრომა უნაყოფოდ ჩაივლის და ისიც დაგავიწყდება რაც შეძინე. ამიტომაც ჩვენი წითელი-არმიელები მიღებულ ცოდნით არ უნდა დაკმაყოფილდენ და ენერგიულად მოკიდონ ხელი თვითგანვითარების საქმეს. თავის მოვალეობას მუშურ-გლეხურ ხელისუფლების და ყველა მშრომელთა წინაშე ისინი მაშინ შეასრულებენ პირნათლად, როცა სათანადო ცოდნით და შეგნებით იქნებიან აღჭურვილი.

„სწავლა სიბერემდის არ მოსჰარბდება.“!

ეს ბრძნული ანდაზა არას დროს არ უნდა დაივიწყოს წითელ-არმიელმა.

## ბურჟუაზიის მორიგი საზიზღარი ცილისწამება.

სოფიის ტაძრის აფეთქებამ აღელვა მთელი ბურჟუაზიული სამყარო და პირველ ყოვლისა თვით ცანკოვის ფაშისტური მთავრობა. ამ შემთხვევაში კაპიტალისტურმა კლასმა დაინახა მისი ბატონობის, მისი არსებობის კეთილდღეობის შერყევის განზრახვა. და რა გასაკვირია, რომ არა თუ მარტო ბულგარეთის, არამედ მთელი ქვეყნის ბურჟუაზიამ ასტეხა ღრიალი ბოლშევიკურ შეთქმულებასა და საფრთხეზე როგორც ყოველთვის, ისე ეხლაც სოფიის შემთხვევა იმათ გამოიყენეს კომინტერნისა და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. დღევანდელი რადიო გადმოგვცემს ცანკოვის უტიფარ ტყუილითა და ცილისწამებით აღსავსე განცხადებას, სადაც ის ამტკიცებს, რომ თითქოს სოფიის ტაძრის აფეთქება მომხდარიყოს საბჭოთა მთავრობისა და კომინტერნის დირექტივებით.

ამ თავხედურ ტყუილს ცანკოვთან ერთად იმეორებს მთელი მსოფლიო ბურჟუაზია.

მისი პრესა ყოველმხრივ სცდილობს დაამტკიცოს ამ უსინიდისო ტყუილის სიმართლე.

როგორც წინად, ისე ეხლაც მიმართავენ ისინი ყალბ საბუთებს.

მაგრამ რამდენიც არ უნდა ეცადოს ბულგარეთის ფაშისტური მთავრობა, რა ძალიანაც არ სურდეს მას თავს მოახვიოს სოფიის აფეთქების დანაშაული კომინტერნსა და საბჭოთა კავშირს და რაც უნდა ხმა მაღლა არ იყვირონ ამის შესახებ მთელი ქვეყნის კაპიტალისტებმა, სულ ერთია, ისინი მაინც ვერ მიაღწევენ თავიანთ მიზანს და ვერ დაამტკიცებენ ამ უსინიდისო ბრალდების სისწორეს. ვინაიდან თვით ბულგარეთის მშრომელთა მასების მდგომარეობა ამ უსირცხვილო ცილისწამების საუკეთესო გამამათილებელია. განა თვით ცანკოვის მთავრობა, რომელმაც ჩასჭედა მთელი ქვეყანა შავი რეაქციის მძიმე ბორკილებში და რკინის დიქტატურით გაანადგურა ყოველგვარი თავისუფლება; რომელიც ასობით და ათასობით აწამებს და ხვრეტს დამონავებულ კლასის საუკეთესო შვილებს, განა თვითონ არ არის ყველაფერში დამნაშავე, როცა მან ასეთ სასოწარკვეთილებამდის მიიყვანა ჩაგრულთა მასები? სოფიის აფეთქება—ეს არის გაწამებულ ხალხის მრისხანების აფეთქება სისხლის მსმელ ფაშისტური რეჟიმის წინააღმდეგ. საბჭოთა მთავრობა აქ არაფერ შუაშია, მით უმეტეს კომინტერნი, რომელიც სრულიად უარყოფს ყოველგვარ ინდივიდუალურ ტერორს.

ამრიგად ცანკოვის განცხადება იმის შესახებ, რომ სოფიის აფეთქებაში ბრალი მიუძღვის საბჭოთა მთავრობასა და კომინტერნს, ეს არის მორიგი საზიზღარი ტყუილი და პროვოკაცია.

ეს ბინძური ცილისწამება მიმართულია საბჭოთა ხელისუფლების სახელის გატეხისა და მისი საერთაშორისო მდგომარეობის შესუსტების მიზნით. მასთან ერთად ეს პროვოკაცია სჭირდება ცანკოვს თავისი ფაშისტური არმიის გასაძლიერებლად, ვინაიდან მისი ბატონობისათვის არ არის საკმარისი ჯარის ის რაოდენობა, რომელიც მის განკარგულებაში იმყოფება ამჟამად.

საბჭოთა კავშირის შინაური გაძლიერება და განმტკიცება მოსვენებას არ აძლევს მსოფლიო ბურჟუაზიას. ყოველგვარ ღონისძიებას ხმარობს ის, რათა ხელი შეუშალოს მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს შინაურ ზრდასა და განვითარებას. ეს საზიზღარი ჭორი ერთი ასეთ ზომათაგანია. მაგრამ მორიგი ბურჟუაზიული ცილისწამება, როგორც ყოველთვის, საკმაოდ გამოაშკარავებულია.

მთელი ქვეყნის მშრომელებმა ერთსულოვნად უნდა დაგმონ ბურჟუაზიის ეს უსინიდისო ცილისწამება და ერთხელ და სამუდამოდ უნდა გაუფუჭონ მათ მადა მსგავსი გამოსვლებისათვის.

—ე.

# ახალი რადიო-ამბები

## ცანკოვი თავხედურად სტყუის. ჩიჩერინის განცხადება.

ბულგარეთის პრემიერმა ცანკოვმა გაუგზავნა ამერიკის ტელეგრაფის სააგენტოს „იუნაიტედ პრეს“-ს განცხადება, რომელშიაც ის ბრალს სდებს საბჭოთა მთავრობას სოფიის ტაძრის აფეთქების მოწყობაში.

ცანკოვი სწერს:

„დასავლეთ და ცენტრალური ევროპის ბოლშევიზაციის უნაყოფო ცდების შემდეგ მესამე ინტერნაციონალმა და რუსეთის მთავრობამ მიმართეს მთელი ღონისძიება ბალკანეთის სახელმწიფოებისკენ, განსაკუთრებით ბულგარეთისაკენ, რომელიც სურდათ გაეხადათ განმანადგურებელ მოქმედების ბაზად“.

„იუნაიტედ პრეს“-მა მიმართა ჩიჩერინს თხოვნით გამოთქვას თავისი აზრი ცანკოვის განცხადების შესახებ.

ჩიჩერინი აცხადებს:

„მე არ მაკვირვებს ეს თავხედური ტყუილი იმ ავანტიურისტის, რომელმაც ერთი მუჭა სამხედრო შეთქმულთა დახმარებით ხელში ჩაიგდო ძალაუფლება და სცდილობდა მის შენარჩუნებას განუწყვეტელი მასიური მკვლელობის, ძალმომრეობისა და წამების გზით. როცა მთელს სახელმწიფოზე გამეფებული საშინელი რეჟიმი მიიყვანს ხალხს ისეთ ნაბიჯამდის, როგორიცაა სოფიის ტაძრის აფეთქება, მთელი ქვეყნის წინაშე აშკარა ხდება უსუსურობა საშინელი სამხედრო ტერორის; და იმ ავანტიურისტს, რომელიც დღიდან დღეზე სცოცხლობს ძალადობითა და ცილისწამებით, ესაჭიროებოდა წამოეყენებია ამ შემთხვევისთვის ყალბი მიზეზები, მოეგონებია ამ საქმეში ვინმე ბრალდებული.



ამხ. ჩიჩერინი.

ცანკოვის ტყუილი განცხადება ქვეყნდება კიდევ იმ დროს როცა საბჭოთა ხელისუფლების მტრები, შეშინებულნი მისი შინაური გაძლიერებითა და საგარეო ძლიერების ზრდით, ყოველდღე სცდილობენ სახელი გაუტეხონ საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობას ცილის წამებით, ტყუილითა და სიყალბით.

ყოველ მიუდგომელ ადამიანისთვის ცხადი უნდა იყოს ცანკოვის ბრალდებათა ღირებულება. მე გადაჭრით და გაბედულად ვაცხადებ, რომ ყოველგვარი ცდა იმისა, რათა დაუკავშირონ საბჭოთა ხელისუფლების საქმიანობას სოფიის ტაძრის აფეთქება,—თავიდან ბოლომდის სიყალბე და უტიფარი ტყუილია.

საბჭოთა მთავრობასა და სოფიის ტაძრის აფეთქებას შორის არავითარი კავშირი არ არის“.

## კომინტერნის აღმასკომის განცხადება.

კომინტერნის აღმასკომმა გამოაქვეყნა შემდეგი განცხადება:

„სიყალბე და ვერაგობა თანდათან მთავარი იარაღი ხდება კომინტერნის მტრებისთვის. ყოველ კვირაში, ხან ერთი, ხან მეორე სახელმწიფოში გამოქვეყნდება ყალბი წერილების, ბრძანებების დადგენილებების და სხვა საბუთების მთელი რიგი, რომელსაც მიაწერენ კომინტერნს.

ცანკოვის ფაშისტურმა მთავრობამ ყველას აჯობა ამ მხრივ. სოფიის ტაძრის აფეთქებასთან დაკავშირებით მან სასწრაფოდ გამოაქვეყნა საბუთები, რომლითაც ის სცდილობს დაამტკიცოს კომინტერნის მონაწილეობა ამ ტერორისტულ აქტში.

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ კომინტერნს პრინციპიალური მოსაზრებით არავითარი კავშირი არ აქვს საერთოდ ინდივიდუალურ ტერორთან და, მაშასადამე, სოფიის ტაძრის აფეთქებასთან. კომინტერნის აღმასკომი გადაჭრით აცხადებს, რომ ყოველივე ის, რასაც მიაწერენ მას ამ საქმეში, თავიდან ბოლომდის ყალბი და შეთხზულია.

კომინტერნის გათავხედებული მტრები უფრო და უფრო თავხედდებიან. კომინტერნის აღმასკომი მოუწოდებს მთელი ქვეყნის მუშებს მზად იყვნენ და სათანადო პასუხი გასცენ ცანკოვის მთავრობის თავხედობას. ბულგარეთის შემთხვევებში პასუხისმგებელია ცანკოვის სისხლიანი მთავრობა. ვერავითარი თეთრი ტერორი ვერ შეაჩერებს მუშათა და გლეხთა განმათავისუფლებელ ბრძოლას.

მთელი ქვეყნის მოწინავე მუშათა და გლეხთა სიყვარული ბულგარეთის მუშათა კლასის, გლეხობისა და მათ მებრძოლთა მხარეზეა, რომელთაც თვით სიკვდილიც ვერ შეაშინებს სამართლიან ბრძოლაში.“

## დასრულდა „გერმანიის ჩეკას“ პროცესი
## სასამართლოს განაჩენი.

ლეიპციგის სასამართლომ შემდეგი განაჩენი გამოიტანა „გერმანიის ჩეკას“ საქმეზე.

მრავალ მკვლელობაზე წაქეზების, ტერორისტულ აქტების მოწყობისა და სახელმწიფოს ღალატისთვის სკობილევსკის მიუსაჯეს სიკვდილით დასჯა.

ფელიქს ნეიმანს რაუშის მოკვლისთვის მიუსაჯეს სიკვდილი.

პეგეს რაუშის მკვლელობაში მონაწილეობისთვის მიუსაჯეს სიკვდილით დასჯა.

მარგისს რაუშის მკვლელობაში მონაწილეობისათვის მიუსაჯეს 15 წლის კატორღა.

სონს იმავე ბრალდებისათვის მიუსაჯეს 8 წლის კატორღა.

დანარჩენებს მიუსაჯეს საკატორღო მუშაობა 6 თვიდან 5 წლამდი.

## ამხ. კარახანი დიპლომატიური კორპუსის მამასახლისია პეკინში.

ჩინეთში მყოფ უცხოელ სახელმწიფოების წარმომადგენლებმა ოფიციალურად აცნობეს საბჭოთა ელჩს კარახანს, რომ მას სთვლიან დიპლომატიური კორპუსის მამასახლისად მთელი ფუნქციებით და უფლებებით, რომელიც მინიჭებული აქვთ ამ შემთხვევაში ყველა დედა-ქალაქებში.

ამ გადაწყვეტილების გარშემო ჯერ კიდევ 1924 წლის შემოდგომიდან იყო თათბირი და არ გამოჰქონდათ ის ოფიციალურად, ვინაიდან უცხოეთის დიპლომატები იმედოვნებდენ კარახანი დიდხანს არ დარჩება პეკინშიო. მაგრამ შეუძლებელი გახდა შემდეგი ყოყმანი და საკითხის გადადება; დიპლომატიური წარმომადგენლები იძულებული გახდენ ოფიციალურად ეცვნენ კარახანი მამასახლისად.

## იჯვნიან ვანდერველდესაგან.

ბელგიის სენატის და დეპუტატთა პალატის მემარჯვენე პარტიების ბიურო ერთხმად აღიარებენ, რომ შეუძლებელია მიიღონ ვანდერველდეს წინადადება მთავრობაში მონაწილეობის შესახებ.

ამის მიზეზად ასახელებენ იმას, რომ ვანდერველდე მომავალი მთავრობის პროგრამას საფუძვლად უდებს სოციალისტების საარჩევნო პროგრამას.

## გაფიცვები იაპონიის სამრეწველოებში.

ცინდაოში მომუშავე იაპონიის სამრეწველოების ფეიქრებმა მოთხოვნილება წარუდგინეს ადმინისტრაციას ეკონომიურ ნიადაგზე. ადმინისტრაციამ უარყო მათი მოთხოვნილება, რის გამოც გაიფიცა 3.000 ფეიქარი. მეპატრონეები შეფიქრებული არიან არ გავრცელდეს გაფიცვები მეზობელ დაწესებულებებს, რომლებშიაც სულ მუშაობს 17.000 ფეიქარი.

## საბჭოთა კავშირმა უნდა დაეხმაროს იაპონიას.

როსტას კორესპონდენტთან საუბარში სეიუკაის პარტიის თავმჯდომარემ ტანაკამ განაცხადა, რომ ამ ჟამად იაპონიის სერიოზულ საკითხად ითვლება საგარეო პოლიტიკის საკითხი. იაპონიამ უნდა მოიპოვოს მტკიცე საგარეო მდგომარეობა, რისთვისაც საჭიროა კეთილ მეზობლური დამოკიდებულება იაპონიასა და საბჭოთა კავშირს შორის.

ტანაკამ განაცხადა, რომ პოლიტიკური ურთიერთობა ეყრდნობა საზოგადოდ ეკონომიკას და ამიტომ იაპონია—საბჭოთა შეთანხმება ნაყოფს გამოიღებს მხოლოდ მაშინ, როცა ორივე მხარე ხელს შეუწყობს ურთიერთ ეკონომიურ აყვავებას.

ტანაკა პირადად მეტად დაინტერესებულია საბჭოთა კავშირის კერძო ვაჭრობის მდგომარეობით.

## კორეელთა დემონსტრაცია.

სეულში (კორეის დედაქალაქი) უნდა მომხდარიყო კორეელთა ფართე სახალხო მიტინგი, მაგრამ ის აკრძალა პოლიციამ.

საღამოს ქალაქში გაიმართა დემონსტრაციები, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 5.000 მეტმა კორეელმა. დემონსტრანტებში ხშირად მოსჩანდა წითელი „ფლაგები."

მოხდა რამოდენიმე შეტაკება პოლიციასთან. დაპატიმრებულ იქნა აუარება ხალხი.

## საგადასახადო დებულების პროექტის განხილვა.

21 აპრილს შესდგა საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მორიგი სხდომა. განხილულ იქნა დებულების პროექტი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ 1925-26 წელში. პროექტში შეტანილ იქნა შესწორებათა მთელი რიგი. დაბეგვრის საბოლოო განხილვა გადადებულ იქნა შემდეგი სხდომისთვის.

## საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობა მარტში.

22 აპრილს, საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის მდგომარეობის შესახებ მარტის თვეში, მოხსენება გააკეთა კისელიოვმა. მან აღნიშნა, რომ მარტში ამინდი ხელს უწყობდა სოფლის მეურნეობას.

კისელიოვმა აღნიშნა, რომ მრეწველობა განაგრძობს ზრდას. გაცილებით მეტი ზრდა დაეტყო სართავ, ტყავის და შაქრის სამრეწველოს.

# სამხედრო საქმე

## საბანაკო სამსახური.

### ყოველ—დღიური განწესება.

ბანაკად მოთავსებულ ყოველ სამხედრო ნაწილში ინიშნება ნაწილის, გუნდის (მცირე გუნდის) მორიგე და სამი გუნდის დღიური. ნაწილის მორიგე ემორჩილება ბანაკის მორიგეს, ხოლო შინა სამსახურის წესრიგში—უშუალოდ ნაწილის უფროსს. ნაწილის მორიგე მთელი თავისი მორიგეობის განმავლობაში იმყოფება ნაწილის მორიგის განსაკუთრებულ კარავში, წინა ხაზზე.

ბანაკის ფარგლებიდან დროებით გასვლის დროს ნაწილის მორიგე სტოვებს თავის მოადგილეს (თანაშემწეს).

გუნდის მორიგე ემორჩილება ნაწილის მორიგეს და თვალყურს ადევნებს სისუფთავეს გუნდში და კარვებში, არ აძლევს ნებას გარეცხონ და გააფინონ თეთრეული, ან გასწმინდონ იარაღი დანიშნულ ადგილს გარეშე.

ნაწილის მორიგის ყოველ განკარგულებას გუნდის მორიგე გადასცემს ასასრულებლად და თვალყურს ადევნებს, რათა ნაწილის მორიგის ეს საერთო განკარგულებანი თავის დროზედ და სავსებით იქნან ასრულებული. საღამოს განხილვის შემდეგ ის ღებულობს გუნდის მამასახლისისაგან ცნობას გუნდიდან უნებართვოდ წასულთა და განხილვაზე არ გამოცხადებულთა შესახებ, განხილვაზე დამსწრეთა რაოდენობის შესახებ, და მიდის ნაწილის მორიგების შესაკრებ ადგილზე და მოხსენებას უკეთებს ნაწილის მორიგეს.

ყოველგვარ შემთხვევის შესახებ გუნდში მორიგე ვალდებულია დაუყონებლივ აცნობოს ნაწილის მორიგეს.

გუნდში ინიშნება სამი დღიური. ისინი სამსახურს ასრულებენ შემდეგნაირად:

ერთი მორიგე დღიური მუდმივ იმყოფება ხაზზე კარვების გარედ, მეორე იმყოფება გუნდის მორიგის განკარგულებაში სხვა და სხვა დავალებათა ასასრულებლად და მესამე ისვენებს სადარაჯო კარავში.

სამსახურის განწესების შემცირების დროს, როცა გუნდში იმყოფება მხოლოდ ორი დღიური,—მორიგე დღიური გუნდის მორიგის განკარგულებაში არ ინიშნება.

უფრო რთული პასუხისმგებლობა სამსახურის ასრულებაში აწევს მორიგე დღიურს, რომელიც იმყოფება ხაზზე.

ის ვალდებულია ხმა მაღლა გადასცეს განკარგულება, რომელსაც ის ღებულობს მეზობელ დღიურებისაგან. მორიგეების გამოსაწვევად ხაზზე დღიურმა ხმა მაღლა უნდა დაიძახოს: „მორიგეები ხაზზე", თუ ეს ყველა მორიგეებს ეხება, და „ამა და ამ გუნდის მორიგე ხაზზე,"—თუ ეს მარტო თავის გუნდს ეხება. მორიგე ვალდებულია ბანაკის მდებარეობის ფარგლებში არ შემოუშვას ვინმე, აგრეთვე ვაჭრებიც. თვალყური უნდა ადევნოს, რათა ღამით ყველა მიდიოდეს ფეხის ალაგზე, აუცილებლად ამისთვის დანიშნულ ადგილებზე.

სადილსა და ვახშმის დროს მორიგე დღიურები აუცილებლად უნდა იმყოფებოდენ თავიანთ კარვების რაიონში და თვალყური ადევნონ, რათა დაცულ იქნას წითელ არმიელის საკუთარი და სახაზინო ქონება.

აი დღიურების მოვალეობა, რომელიც კარგად უნდა ესმოდეს მეომრებს ყოველ დღიური სამსახურის დროს და სავსებით უნდა აასრულონ ის.

## რა უნდა იცოდეს წითელ არმიელმა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის შესახებ.

### ძალა ერთობაშია.

I

ჩვენი ქვეყნის მიწის მუშებიგლეხები დიდი ხანია საკუთარ გამოცდილებით დარწმუნდნენ, რომ ყოველი საქმის წამოწყება და მისი გამარჯვებით დამთავრება დასრულება უფრო ადვილია საერთო ძალით, საერთო კავშირის შექმნით. აღმოსავლეთ საქართველოში—ქართლკახეთში დღიურის მოსახნავად საჭიროა გლეხ მეურნეს ყავდეს ხშირად 7-8 უღელი ხარი, რაც ძალიან იშვიათი შემთხვევაა. ჩვენში ჯერ არ მოიპოება ასეთი ძლიერი გლეხის მეურნეობა. მაშ მიწა მოუხნელად უნდა დარჩენილიყო და ჩვენს გლეხს მოსავალი არ უნდა მოეწია. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ეს ასე როდი ხდება? ერთს ყავს უღელი ხარი, მეორეს ცალი, მესამეს გუთანი აქვს, მეოთხე მზად არის თავის სამუშაო ძალა გამოიყენოს და ამ რიგად ასეთი ერთობით შესაძლებელი ხდება მიწის მოხვნა და თესვა. ჯერ მოხნავენ ერთი გლეხის მიწას, შემდეგ მეორისას და ამრიგად.

ვინც დასავლეთ საქართველოში ყოფილა, იმან მშვენივრად იცის, რომ სიმინდის სარეველ ბალახებიდან გაწმენდის—ე. ი. მისი გამარგვლის და გაფშვნის დროს, ძალიან განვითარებულია, ეგრედ წოდებული ნადობა, ე. ი. მეზობლების მოწვევა და მათი დახმარებით აღნიშნულ სამუშაოების შესრულება.

ამრიგად უძველეს დროიდანვე ჩვენს მიწის მუშებს შეგნებული ჰქონდათ და ცხოვრებაშიც ანხორციელებდენ მუშაობის ამხანაგურ წესებს.

ჩვენ ვიცით, რომ ცხოვრება წინ მიდის და სულ ახალახალ მოთხოვნილებებს აყენებს. ბრძოლა არსებობისათვის, თავის ცხოვრების პირობების გაუმჯობესება, ბუნებრივ ძალების დამორჩილება და მათი ადამიანის საკეთილდღეოდ გამოყენება—ცალკე ადამიანისათვის შეუძლებელი და მიუწვდელი რჩება. მით უმეტეს, გლეხი მხოლოდ ეხლახან განთავისუფლებული მემამულეთა უღელიდან, წერა-კითხვის უცოდინარი, ღარიბი, მხოლოდ საკუთარ ძალაზე დაყრდნობით ვერ შესძლებს თავის ცხოვრების გაუმჯობესებას და თავის მეურნეობის წინ წაწევას.

გადავხედოთ გერმანიის მაგალითს. 50 წლის წინედ გერმანიის გლეხი უმწეო მდგომარეობაში იყო მას—ვაჭრები, ჩარჩები, ბანკები—ყველანი ტყავს აძრობდენ. მაგრამ ამას ბოლო მოეღო მაშინ, როდესაც გერმანიის გლეხები გაერთიანდენ ამხანაგობაში თავის სამეურნეო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. ამ ჟამად მთელი გერმანია დასერილია ასეთი ამხანაგობებით, რომელთაც სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია ეწოდებათ. გერმანიაში ამ ჟამად არ არის სასოფლო-სამეურნეო წარმოების არც ერთი დარგი, რომელიც არ იყოს გაერთიანებული ამხანაგობაში.

ასე, მაგ. გერმანიაში ძალიან განვითარებულია სარძეო მეურნეობა, ამიტომ, იქ აუარებელი სარძეო და კარაქის სახელი ამხანაგობანია, რომელნიც განსაკუთრებით თავის წევრთა რძის გადამუშავებას ეწევიან.

ამხანაგობის ყოველი წევრი ვალდებულია თავისი რძე მხოლოდ ამხანაგობაში გაასაღოს. ამხანაგობაც ვალდებულია მხოლოდ საკუთარ წევრების რძე გადაამუშაოს. წევრებმა ამხანაგობას სუფთა, უწყლო რძე უნდა მიაწოდონ. ფასის გადახდა ყოველ თვიურად ხდება. გერმანიის მებოსტნენი და მებაღენი დიდი ხანია რაც თავიანთ ნაწარმოების გასასაღებლად გაერთიანდნენ ამხანაგობებში.

გერმანიის მაგალითს წაბაძა ევროპის და ამერიკის სხვა და სხვა ქვეყნებმა.

### რა არის სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია.

რა არის კოოპერაცია. კოოპერაცია არის მეურნეთა შეგნებული, ნებაყოფლობითი გაერთიანება საერთო ძალით რაიმე სამეურნეო მიზნის მისაღწევად. რატომ ეწაფებიან გლეხები კოოპერაციას და რაში მდგომარეობს მისი ძალა? საქმე იმაშია, რომ კოოპერაცია გლეხების წვრილ მეურნეობის ნაყოფიერების აწევის საშუალებაა. ამ შემთხვევაში სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას ის მნიშვნელობა აქვს, რაც მანქანის გამოყენებას მრეწველობაში. როგორც მრეწველობაში, ისე სოფლის მეურნეობაში, საწარმოო ძალთა განსავითარებლად ტეხნიკის გამოყენების გზით, საჭიროა მეურნეობის მსხვილი ფორმა. მხოლოდ მსხვილ მეურნეობებს შეუძლია მიწად-მოქმედების განახლება და მიწის მუშის განთავისუფლება მძიმე და ნაკლებად ნაყოფიერ შრომისაგან. მაგრამ ჩვენში მილიონი გლეხის წვრილი მეურნეობაა, რომელთა გაერთიანება მსხვილ ერთეულებში არც ისე ადვილი საქმეა. უნდა გამოინახოს სხვა რაიმე საშუალება, რომელიც შესაძლებლად ხდის მსხვილ წარმოების უპირატესობით სარგებლობას. ასეთ გამოსავალს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია იძლევა.

კოოპერაცია შესაძლებლობას იძლევა თავის წვრილ მეურნეობიდან გლეხმა გამოჰყოს ისეთი სამეურნეო და მექანიკური ოპერაციები, რომელნიც მსხვილ კაპიტალის გამოყენებას მოითხოვენ. სხვა გლეხებთან ერთად იგი ამ დარგებიდან ქმნის მსხვილ წარმოებას კოოპერატიულ ნიადაგზე.

სოფლის მეურნეობის რომელი დარგი მოითხოვს თავის განვითარებისათვის მსხვილ წარმოებას?

ესენია:

ა) მანქანების და მოძრავი ძალების გამოყენება. ბ) ჯიშიან საქონლის აღზრდა გ) გაუმჯობესებულ სათესლეს მოყვანა. დ) რძის გადამუშავება. ე) მწვანეულობის გადამუშავება. ვ) ნაწარმოებთა გასაღება. ზ) სამეურნეო საგნების შესყიდვა. გლეხებმა ეს ოპერაციები რომ შეასრულონ ისინი ქმნიან სპეციალურ ამხანაგობებს. და როდესაც სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია პირდაპირ უდგება გლეხის მეურნეობას, ეს მეურნეობა თავს აღწევს ჩამორჩენილობას, და საშვალება ეძლევა გამოიყენოს უკეთესი თესლი, მინერალური სასუქი, უკეთესი ჯიშის სამუშაო და საწარმოო საქონელი, უკეთესად და ხელსაყრელ პირობებში გაასაღოს თავისი ნაწარმოები ყოველგვარ შუამავლების და ჩარჩების გარეშე.

განვიხილოთ სასოფლო სამეურნეო კოოპერაციის ცალკე დარგები და მოწყობის წესები და აგრეთვე ს.-ს. კოოპერაციის მდგომარეობა საქართველოში.

შ. ა—ვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქარხნული ცხოვრება.

## ახკომკავშირელთა შორის.

**ჩვენი მუშაობა.**

(ქართულ მეთაურთა სკოლის ცხოვრებიდან).

ლენინური ახ. კომ. კავშირის ბიურო კოლექტივის ახალი შემადგენლობა არჩეულ იქნა ა. წ. 4 თებერვალს, ცხრა წევრისა და 2 კანდიდატისაგან შემდგარი.

მორიგ სხდომაზე განაწილებულ იქნა მოვალეობანი ბიუროს წევრთა შორის.

ახლად არჩეულმა ბიურომ დასდგა პრაქტიკული ნაბიჯები მუშაობის წინ წასაყვანათ, გამოასწორა ყველა ის ნაკლი, რომელიც ქონდა ძველ ბიუროს და სხ.

ბიუროს მუშაობის ერთ ერთ ხელის შემშლელ მიზეზათ უნდა ჩაითვალოს ბინის უქონლობა.

სკოლაში არის სულ ლ. ა. კ. კ. ხუთი უჯრედი. ყველა უჯრედს აქვს კავშირი, როგორც ცოცხალი ისე წერილობითი, მახლობელ სამხედრო და სამოქალაქო უჯრედებთან. წერილობითი კავშირი გვაქვს აგრეთვე სომხეთისა და ადერბეიჯანის სკოლებთან.

ცოცხალი და წერილობითი კავშირი არის აგრეთვე სურამის საშეფო უჯრედთან. ვუგზავნით წიგნებს, რვეულებს, ფანქრებს და სხ.

თვით უჯრედის წევრთა შორის აღმზრდელობითი მუშაობას წარსულში არ ექცეოდა სათანადო ყურადღება. ახლად არჩეულმა ბიურომ მიაქცია დიდი ყურადღება ამ მხარეს მუშაობისას, რისი შედეგი იყო ის, რომ მუშაობამ კარგი ნაყოფი მოგვცა.

ბიურომ ყურადღება მიაქცია აგრეთვე სამწყობრო და უმწყობრო გუნდში მყოფ ახ-კომკავშირის წევრებ შორის აღმზრდელობითი მუშაობას.

უჯრედების ინიციატივით ხშირათ იმართება კომკავშირის წევრთა გასამართლება. კრებებზე დაუსწრებლობისათვის, ჩხუბის ატეხისათვის, უპარტიო ახალგაზრდობაში თავის თავის მაღლა დაყენებისათვის, ძველი ტრადიციისათვის, სახაზინო ნივთების გაფლანგვისათვის და სხვა.

გასამართლებებს ყოველთვის მოაქვს დადებითი შედეგები.

უჯრედებიდან არის გამოყოფილი ახკორების ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობს ბიურო კოლექტივის ერთ-ერთი წევრი, რომელიც ითვლება აღნიშნულ ახკორთა ჯგუფის მუდმივ ხელმძღვანელათ.

ჯგუფის მუშაობა სდგას თავის სიმაღლეზე.

ბიურო-კოლექტივის ორი წევრი სპეციალურათ გამოყოფილები, აწყობენ წარმოდგენებს დრამ-წრის საშუალებით.

ჩვენს უჯრედებთან არის მიმაგრებული რაიკომის წარმომადგენელი, რომელმაც გამოგვასწორებია ყოველი ნაკლი, რაც გვქონდა აქამდე.

საზანაკოთ გასვლის შემდეგ უფრო უნდა გაცხოველდეს მუშაობა ბიურო-კოლექტივის ხელმძღვანელობით.

ვუსურვებთ ბიუროს, რომ უფრო მეტი ენერგიით გააგრძელოს მუშაობა, როგორც თვით უჯრედებში, ისე სოფლად, საზანაკოთ ყოფნის დროს.

**დ. ჭავჭანიძე.**

## ლენინის დღე სამხედრო ჰოსპიტალში.

წყნარი ამინდია. ნაშვადღევის სამი საათიდან ყველა კორპუსებში ჩატარდა საუბრები დღის მნიშვნელობაზე და მასთან ერთად იხსენიებენ ასეთივე მსგავსს გაპონის ავანტიურას.

საღამოს რვა საათიდან ყველა ავადმყოფებმა თავი მოიყარეს სამხედრო ჰოსპიტალის კლუბში წარმოდგენაზე.

კლუბი გაიჭედა ავადმყოფებით და ჰოსპიტალში მყოფ თანამშრომლებით. სანამ წარმოდგენა დაიწყებოდა ვრცელი მოხსენება გააკეთა ამავე კლუბის უფროსმა ქალმა ამხ. ბახსჩისარაიცევამ, რომელმაც დაწვრილებით აღნიშნა ლენის ოქროს მაღაროების მუშების გაჭრვება და როტმისტრ ტერეშჩენკოს მხეცური მოქმედება. შემდეგ დამსწრეებს გაეცნო პიესის „ლენის მაღაროების“ შინაარსი.

პიესა ცოცხლად იქნა ჩატარებული. უმრავლესობა პიესაში იღებდენ მონაწილეობას წითელ არმიელები. ყველა საუცხოვოდ ასრულებდენ თავიანთ როლებს.

ავადმყოფი არმიელები ძლიერ კმაყოფილი დაიშალენ.

**სამხკორი ჯღანკი.**

## ჩვენი სამეურნეო აღმშენებლობა.

**გაჭედილის ჰიდრო ელექტრო სადგური.**

(აბაშა. სენაკის მაზრა)

გაჭედილის თემი და მის ახლო-მახლო მდებარე ადგილები უხვად დაჯილდოებულია ბუნებისაგან. აქ არის მშვენიერი ტყეები და სხვა მასალები, რომლებიც აუცილებელია ჩვენი სამეურნეო აღმშენებლობისათვის.




აქვე გადის მდინარე აბაშა, რომელსაც შესანიშნავი წყალვარდნილი აქვს. ვერც ნიკოლოზისა და ვერც მენშევიკების დროს, მიუხედავად მრავალი ცდისა, ვერ გამოიყენეს ეს ბუნებრივი სიმდიდრე წყალვარდნილი. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ შესძლო იქაც მიეწია ხელი და უკვე გასული წლიდან დაიწყო სადგურის ასაგებათ მუშაობა.

ამ ახლო ხანში გაჭედილის თემი და მისი ახლო-მახლო რაიონები იდღესასწაულებენ სადგურების დამთავრებას.

გაჭედილის ჰიდრო ელექტრონული სადგური იმდენ ძალას მოგვცემს, რომ 1) გაანათებს მთელ სამეგრელოს და ნაწილობრივ იმერეთსაც 2) მოეწყობა საქსოვი და ხე-ტყის დამმუშავებელი ქარხნები და სხვა ასეთები.

ამათ გარდა სადგური დიდ როლს ითამაშებს გლეხობის კულტურულად და ეკონომიურად აღორძინების საქმეში და მრავალი სხვა.

ყველა ეს კი ხელს შეუწყობს საბჭოთა ხელისუფლებისა და კომპარტიის მიზნების სოციალიზმისა და კომუნიზმისაკენ გადასვლას.

გაუმარჯოს გაჭედილს ჰიდრო ელექტრო სადგურის ხელმძღვანელებს და იმ გლეხობას, რომელიც გულწრფელად იღწვის ამ უდიდესი მნიშვნელობის საქმის დასამთავრებლად.

**მ. ბელაძე.**

## არტ-სკოლის კურსანტები ექსკურსიაზე.

3 აპრილს არტ-სკოლის 44 კურსანტი წავედით ექსკურსიაზე მახლობელ წუმწუმის ქარხანაში. მისვლისას ქარხანაში დაგვყვეს ორ ჯგუფად და შეგვიყვანეს მანქანების დასათვალიერებლათ.

ჩვენ დიდის ინტერესით დავათვალიერეთ სხვა და სხვა მანქანების მოძრაობა.

სამწუხაროდ ჩქარა გამოვედით ქარხნიდან, მოვეწყვეთ ჩვეულებრივ წყობილებაში და დავბრუნდით ყაზარმაში, ვინაიდან ცოტა ვადა გვქონდა მოცემული საექსკურსიოთ. კურსანტები დიდ კმაყოფილებას გამოსთქვამდენ ექსკურსიით.

საჭიროა, ასეთ ექსკურსიებს ხშირათ მოგვიწყობდენ ჩვენი მეთაურები მხოლოდ მეტი ხნის ვადით და სათანადო ხელმძღვანელის მეთაურობით, რომელიც შესძლებს კარგად აგვიხსნას ყოველივე ნახული.

ვიმედოვნებთ რომ ჩვენი მეთაურები, რომლებიც ჭირში და ლხინში ჩვენთან არიან, უფრო საინტერესო ექსკურსიებზე წაგვიყვანებენ.

**ახკორი. ბ. ცაგარეიშვილი.**

## გამოაცოცხლეთ დრამატიული წრე.

**2-რე ლეგ. 2-რე ათასეული.**

2 რე ათასეულის საკლუბო მუშაობა ვერ სწარმოებს დამაკმაყოფილებლად. არ გვაქვს თეატრისათვის შენობა. ამის გამო დრამატიული წრეც არ არსებობს ათასეულში და მით უმეტეს წარმოდგენებს სრულიად მოკლებული ვართ.

არ არის სათანადო მონდომება და საქმით დაინტერესება, თორემ საამისო ძალები ადგილობრივად მოგვეპოებიან. საჭიროა მეტი უნარი და ინიციატივა გამოიჩინოს ვისაც ეს შეეხება და აამოქმედოს დრამატიული წრე.

მეორე მხრივ ლეგიონმაც უნდა მოგვაქციოს ყურადღება-უმთავრესად აღმოგვიჩინოს მატერიალური დახმარება, რათა შევსძლოთ ადგილობრივად თეატრისათვის შენობის მოწყობა.

ამას გარდა ათასეულში არ გვაქვს კარგი სამკითხველო. საჭიროა ლეგიონის ბიბლიოთეკის წიგნების ნაწილი გადმოეგზავნოს ათასეულს დროებით მაინც.

ეს საშვალების მისცემს არმიელებს დაკმაყოფილდენ სულიერად და არ ჩამორჩენ განვითარებით სხვა ნაწილებს.

ათასეულში ფაქტიურად არსებობს მხოლოდ ორი წრე: პარტიული და ლიტწრე. საუბედუროდ დღემდე წრეებში ვერ მიმდინარეობდა მეცადინეობა ისე, როგორც საჭირო იყო.

ამ უკანასკნელ ხანებში მუშაობა ცოტა გამოცოცხლდა. განსაკუთრებით პარტიულ წრეში, ლიტერატურულში კი სახელმძღვანელოების უქონლობის გამო ისევ მოისუსტებს. მიღებულია ზომები ამის გამოსასწორებლად, რაც იმედია ჩქარა იქნება დაძლეული.

**წ. არმ. ელ—სო.**

## რევიზიაც ასეთი უნდა.

პირველი ლეგიონის სამნეო ნაწილში გადასასინჯი იყო მარტის თვის განმავლობაში დახარჯული სურსათ-სანოვაგის ანგარიში, რომელიც უნდა გადაეხილა საკანტროლო კომისიას.

10 აპრილს მოვიდა მეორე ასეულის უფროსი; მას ჰქონდა მინდობილი რევიზიის გაკეთება.

ამხანაგებმა, რომლების ხელშიდაც იყო აღნიშნული საბუთები დიდი მოწიწებით მიიღეს რევიზორი და როდესაც ამ უკანასკნელმა მოითხოვა ცალ-ცალკე ასეულების კმაყოფის ანგარიში, მიუგეს—„რად გინდა კაცო, რა აანგრევს იმ საბუთებს, ხომ იცი სწორი იქნენებაო, შენც ისე მოახსენე, რომ სწორი აღმოჩნდათქო“.

ამ ამხანაგმაც ჩაიცინა და მიუგო—„ერთს მაინც შევავლო ხელიო“.

მიუტანეს მესაკრავეთა გუნდის ანგარიში, რომელიც გადახილვის დროს სწორი არ აღმოჩნდა. მერე როგორ მოიქცა ეს ამხანაგი?

დაუძახეს მეკუჭნავეს და გადაასწორეს.

ასე მოიქცენ სხვა ასეულების ანგარიშებზედაც.

ნეტა რას ფიქრობდენ ეს ამხანაგები, ვის სასარგებლოდ გადაასწორეს ეს შეცდომები, მებინადრისა თუ მეკუჭნავის სასარგებლოდ?

ამის გამორკვევა თვით საკანტროლო კომისიისათვის მიგვინდვია.

როდესაც ასეთივე რევიზია გაუკეთეს მეთაურთა სასადილოს და იქაც უწესრიგოთ აღმოჩნდა ყველაფერი, ხუმრობით და ძმა ბიჭურად გადაასწორეს.

მასაზრდოებელი გუნდის ანგარიშები კი სრულიად არ განუხილავთ.

— აქ ვიცი მაინც შეცდომები იქნება და თუ ძმა ხარ გადაასწორე. მებინადრისა და შენი ანგარიში ერთმანეთს შეთანხმე, თორემ გადავარდებითო.

ნუ თუ ასეთი დაუდევრობით უნდა მოეკიდოს საკანტროლო კომისია თავის მოვალეობას?

საჭიროა სასტიკი ყურადღება მიექცეს ამ მოქმედებას ვისგანაც ჯერ არს, რომ მეორედ აღარ განმეორდეს ის.

**სამხკორი მატარებელი № 8.**

## ზემდეგი ჩვენთან არ იმყოფება.

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც საარტილერიო ლეგიონის სამართველოს გუნდს ზემდეგად დაგვინიშნეს ამხ. ხაბეიშვილი. ეს ამხანაგი ჩვენს გუნდში თითქმის არა დროს არ იმყოფება.

ყველა საქმეების გაკეთება გვეძნელება უფროსების დაუკითხავად. საჭიროა ჩვენი ზემდეგი ჩვენთან იყოს ყოველთვის. როგორც ვიცით ასე ხდება სხვა ნაწილებში. ეს უნდა იცოდეს ჩვენმა ზემდეგმაც და სხვა ბატარეებში არ უნდა ატარებდეს ტყვილა დროს.

საჭიროა უფროსებმა სათანადო გაფრთხილება მისცენ ამ ამხანაგს.

**წით. არმ. ობოლი.**

## ჩვენი კლუბის მუშაობა გამოცოცხლდა.

**პირველი ლეგიონი.**

ამ უკანასკნელ ხანებამდე ჩვენი კლუბის საქმიანობა ძლიერ მოისუსტებდა, განსაკუთრებით თითქმის სრულიად არ ექცეოდა ყურადღება საკლუბო მასიურ მუშაობას, რაც უმთავრესად ძველი კლუბის გამგის უმოქმედობას მიეწერებოდა.

ლეგიონის მესვეურებისაგან საბედნიეროდ დროზე მიექცა ყურადღება ამ გარემოებას და მეუფერებელი კლუბის გამგის გადაყენების შემდეგ თანდათანობით გამოსწორების გზას დაადგა შეფერხებული საკლუბო მუშაობა.

ამ ჟამად ლეგიონის კლუბთან არსებობენ: დრამატიული წრე, მომღერალთა წრე, პოლიტ-წრე და მსახიობთა წრე ყველა ამათ ენერგიულ ხელმძღვანელობას უწევენ კლუბის გამგეობის წევრები. ჯერ ჯერობით წრეების მუშაობა ნაყოფიერად მიდის.

კლუბის გამგეობაში შედიან ყველა მასთან არსებული წრეებიდან. გამგეობის სხდომები სისტემატიურად იმართება და წინასწარ იმუშავებენ მომავალი მუშაობის გეგმას.

გამოდის კედლის გაზეთი— კლუბის საკუთარი ორგანო, რომელსაც დიდი გავლენა აქვს ასეულების კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიებზე.

გაზეთებში მასიურად არიან ჩაბმული თანამშრომლებათ არმიელები.

კლუბი დიდი ყურადღებით ეპყრობა აგრეთვე ლენინის კუთხეებს ლეგიონში, რომლებიც მშვენივრად არიან მოწყობილი. კუთხეებს აქვთ თავისი განყოფილებები—სამხედრო, სანიტარული, პოლიტიკური და სხვა კუთხეების სახით.

ამ ორი თვის განმავლობაში კლუბმა ჩაატარა სხვა და სხვა საყურადღებო კამპანიები და ამავე დროს ეწყობოდა გასამართლებებიც, რაც უდიდეს გავლენას ახდენდა არმიელთა ფართო მასებში.

**სამხკორი ს. იმნაიშვილი.**

## უფრო მეტი საათები ვეტ-ლექციებს.

არტ ლეგიონის სკოლის კურსანტებს აქვთ ვეტ-საათი კვირაში ერთჯერ.

ლექციას ჰკითხულობს ამავე ლეგიონის ექიმი. როდესაც ექიმი დაიწყებს ლექციის წაკითხვას, ყველა კურსანტი სულგანაბული უსმენს, რადგან ლექცია იკითხება მსმენელთა გასაგები ენით და არის ძლიერ დამაინტერესებელი.

ლექციის გათავების შემდეგ იწყება შეკითხვები, რაშიდაც ყველა კურსანტი ღებულობს მონაწილეობას.

მაგრამ ლექციის დრო (ერთი საათი) მალე გადის და ხშირათ კურსანტები ვერ ღებულობენ შეკითხვებზე ვრცელ პასუხს.

როდესაც ექიმი წასვლას დააპირებს, მსმენელები მიჰყვებიან მას გვერდით და კიდევ აძლევენ შეკითხვებს. ექიმიც ცდილობს გასცეს პასუხი შეკითხვებზე და აკმაყოფილებს შეკითხვებს, რამდენსაც კი მოასწრებს.

ხშირათ გაიგონებთ მსმენელებში: ექიმს ორი საათი რომ ჰქონდეს კვირაში ლექციებისათვის რა კარგი იქნებოდაო.

ექიმი აღტაცებაშია, როდესაც ხედავს ასეთ ბეჯით მსმენელებს.

ვინაიდან მსმენელებს ძლიერ გვაინტერესებს ვეტ-ლექციები, კარგი კი იქნება კვირაში ერთ საათს, მეორესაც რომ მოუმატებდენ.

არტ. სკოლის კურს. შ. ბურკაძე.

## ბიბლიოთეკა მოეწყო.

მეოთხე ლეგიონი.

ჩვენი ბიბლიოთეკა ამ უკანასკნელ ხანებამდე ძლიერ ცუდ პირობებში იყო. არ გვქონდა შენობა და ამის გამო ის მოთავსებული გვქონდა ლეგიონის კლუბის ერთ-ერთ კუთხეში. ხშირად სამნეო ნაწილის ოთახშიდაც გვიხდებოდა მისი გატანა და ვინ იცის კიდევ სად არ უცვლიდით ბინებს. მკითხველებს ამის გამო ბიბლიოთეკა ვერ იკრებდა თავის გარშემო და შესუსტებული იყო მისი მუშაობაც.

ამ რამოდენიმე დღის წინად მოგვცეს საჭირო შენობა და მუშაობაც თანდათან გამოცოცხლდა.

მკითხველების რიცხვი თანდათან მატულობს. ბიბლიოთეკაში ტეხნიკური და სხვა მომუშავეთა რიცხვი გადიდებული იქნა.

ყველა ასეულებიდან სწარმოებს ბიბლიოთეკარების გამოყოფა, რამაც დიდი სიხარული გამოიწვია საბიბლიოთეკო საქმის შესწავლის მსურველ არმიელებში.

იმედია ჩვენი ბიბლიოთეკა ამ მოკლე ხანში უფრო მასიურ ხასიათს მისცემს თავის მუშაობას და გააცხოველებს არმიელებში წიგნების წაკითხვის სურვილს.

სამხკორი ი. გურგენიძე.

## ჩვენი საკლუბო საქმიანობა.

გამომცემლობა.

მიუხედავათ იმისა, რომ ყველა კომუჯრედები უშვებენ თავიანთ ორგანო კედლის გაზეთებს, ლეგიონში კიდევ გამოდის ბ. კოლექტივის ორგანო-კედლის გაზეთი „წითელი გუშაგი“, რომელიც დიდი ავტორიტეტით სარგებლობს ლეგიონში. მიმდინარე წელში გამოცემულია სულ 12 ნომერი.

ჟურნალები და ცოცხალი გაზეთები.

კედლის გაზეთის ყოველ თვიური დამატებათ უკვე გამოვიდა იუმორისტულ ჟურნალის 1-ლი ნომერი და მეორეც ეხლა გამოდის.

გარდა ამისა ყველა წრეები სამხკორთა წრის თაოსნობით აწყობენ ცოცხალ გაზეთს. არ ყოფილა ისეთი კამპანიები, სადაც არ ჩაეტარებიოთ ცოცხალი გაზეთი. 1-ლი იანვრიდან დღემდის ჩატარებულია სულ 12 ჯერ, და ყოველთვის საუცხოვო შთაბეჭდილებას ახდენდა არმიელებზე.

ლენ-კუთხე და სანიტარია.

სამ ლენინის კუთხეებში მოწყობილია სანიმუშო სანიტარული ხასიათის დაფები, დანარჩენები უკვე შეუდგენ ასეთების მოწყობას, მაგრამ გვაბრკოლებს ის, რომ სანიტარული ხასიათის ლოზუნგები და პლაკატები ძალიან ცოტა მოგვეპოება.

ლექციები.

ჩვენი კლუბის მმართველობას ყავს ერთი ამხანაგი გამოყოფილი, რომელიც ასეულების ფარგლებში ატარებს ლექციებს-სკოლის გარეშე მუშაობის შესახებ, რომელსაც ესწრებიან უფ-პოლიტ-შემადგენლობიდანაც.

ს. გეგია.

## ამბები სოფლებიდან.

**ელექტრო-სადგურის მოწყობა.**

ახალქალაქის აღმასკომმა გადასწყვიტა გადასდოს 8 ათასი მანეთი ადგილობრივი ელსადგურის მოსაწყობათ.

**ტელეფონი სოფლათ.**

ზუგდიდის აღმასკომს განზრახული აქვს გაიყვანოს ტელეფონის ხაზი სოფ. ჭკადუაშის თემში.

**ხიდი მდ. ხობის წყალზე.**

თანახმად სოფ. ლესიჭინოს მცხოვრებთა შუამდგომლობისა ზუგდიდის აღმასკომმა გადასწყვიტა მდ. ხობის წყალზე გააკეთოს ჯაჭვის ხიდი.

**ქოხ ს. მკითხველოებისათვის.**

სიღნაღის აღმასკომმა დაადგინა გამოუწეროს მაზრის ქოხსამკითხველოებს ჟურნალ-გაზეთები ექვსი თვით.

**დამბის აშენება ინგურზე.**

ამ მოკლე ხანში ინგურზე შეუდგებიან დამბის აშენებას. სამუშაოზე უფასოდ გამოსვლის სურვილი განაცხადეს ახლო-მახლო სოფლების მცხოვრებლებმა.

**სკოლის შეკეთება.**

გორის აღმასკომმა დაადგინა შეაკეთოს სოფელ ალის სკოლის შენობა, რისთვისაც საჭირო თანხების გაღება იკისრა თვითონ.

**აგურის ქარხანა.**

ახალქალაქის აღმასკომმა დაადგინა გადასდოს მომავლისათვის, ახალქალაქში აგურის ქარხნის აგების საქმე.

## ახალი ამბები.

— **გაერთიანებული კრება უშებთან.** დღეს, საღ. 4 საათზე გაიმართება ქ. მ. ღ. პოლიტგანყოფილებისა და ცეკავშირის კომუჯრედების გაერთიანებული კრება. დასწრება შეუძლია უპარტიოებსაც.

— **აღმშენებლობის ფრონტზე.** ა. კავკ. წყალთა მეურნეობის სამმართველომ გადასდო 20 ათასი მანეთი ქარელი—სკრას არხის გასაყვანათ.

— **ამხ. მიასნიკოვის** უკვდავყოფის მიზნით, ტფილისის სომხურ პედაგოგიურ ტეხნიკუმს ეწოდა, ალექსანდრე თედორეს ძე მიასნიკოვის სახელი.

— **სახელმძღვანელოების გამოცემა.** განათლების სახალხო კომისარიატმა დაადგინა, პირველ რიგში გამოსცეს 4 წლიანი შრ. სკოლებისათვის საჭირო სახელმძღვანელოები.

— **კოოპერაციის საქმიანობა.** ამიერ-კავკასიის კოოპერაციის საქონლის ბრუნვა მიმდინარე წლის პირველ მეოთხედში უდრის 19.221.000 მანეთს.

— **მუშათა საბინაო** აღმშენებლობის დამხმ. კომიტეტმა შუამდგომლობა აღძრა ა. კ. სახკომსაბჭოს წინაშე, რათა სახლების მქონე პროფკავშირის წევრები განთავისუფლებულ იქნენ საბინაო გადასახადისაგან.

— **ოქრო და ვერცხლის** ძველი (ნიკოლოზის) ფულების გატანა საზღვარ გარედ ნება დართულია, თუ საამისოთ ექნებათ ფინ. სახ. კომისარიატის ნებართვა.

— **სტამბის შეგირდები.** შრომის სახალხო კომისარიატმა გადასწყვიტა სტამბებში მომუშავე შეგირდებს მიეცეს რძე წარმოების ხარჯზე.

## მეცნიერება და ტეხნიკა

რადიო და ნერვიული ავად მყოფობანი.

გერმანელი ექიმები იტყობინებიან იმის შესახებ თუ როგორი დადებითი გავლენა აქვს რადიო კონცერტებს ნერვიულ ავადმყოფებზე.

გერმანიის მრავალ სანატორიებში რადიო კონცერტებს დიდი მოხმარება აქვს ნერვიულად დაავადმყოფებულთა მიმართ, როგორც ნერვების აშლილობის და უძილობის წინააღმდეგ საუკეთესო საშვალებას.

**მიწის სიღრმეთა გამოკვლევის ახალი მეთოდები.**

ამ უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში ფიზიკის მიღწევებმა ძლიერ გაადვილეს სამთო დაზვერვისა და ძვირფას მადნეულების აღმოჩენის საქმე მიწის სიღრმეში. შესაძლებელი ხდება საკმაოდ დაცილებული მანძილიდან ამ მადნეულობის გამორკვევა.

ზოგიერთი ასეთი მეთოდები საბჭოთა რესპუბლიკების კავშირშიც იქნება გამოყენებული, ე. წოდებული კურსკის ანომალიის გამორკვევის დროს.

ერთი ასეთი მეთოდია გრაფიმეტრიული მეთოდი. ამ მეთოდის საშვალებით ისე შეიძლება აიწონოს დედა მიწის ქერქის ნაწილები, რომ მათი აღება ძირიდან სულ არ არის საჭირო.

ამ მიზნისათვის არსებობს ერთგვარი ხელსაწყო—გრაფიმეტრი. ხელსაწყოს აქვს ერთი ჯოხი-ისარი, რომელიც იხრება მძიმე მადნეულობის მიზიდვით. ისრის გადახრის სიდიდით შეიძლება გამორკვევა დედამიწის მიზიდულობისა ადგილზე, რომელიც თავის მხრივ საშვალებს აძლევს მკვლევარს შემოხაზოს--გაიგოს თუ როგორი სივრცე უჭირავს მადნეულობის ჩანაწოლს ამ ადგილზე.

გრაფიმეტრიულმა ხერხმა დიდი დახმარება აღმოუჩინა შვეიცარიაში უდიდესი რკინის გზის გვირაბის გამყვან ხელმძღვანელებს, რომლებიც წინას წარ იგებდენ მთის ჯიშების სიმჭიდროვეს ღვერის გასაყვან მიდამოებში.

**სასტუმრო — უმოსამსახუროდ.**

ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში ერთ ქალაქში გაიხსნა მეტად უცნაური სასტუმრო—სასადილო. იქ არ არიან მოსამსახურეები.

სასადილოში ყველაფერი კეთდება ელექტრონების მეოხებით.

მუშტარი შედის სასადილოში, ამოირჩევს მაგიდას, მენიუზე აღნიშნავს იმ საჭმელებს, რომელიც მას სურს და შემდეგ მას ჩაუშვებს მაგიდაში სპეციალურად ამ მიზნით გაკეთებულ ნახვრეტში. ფურცელი მიემგზავრება სამზარეულოში; აქ მზარეული გაამზადებს თევშებზე აღნიშნულ საჭმელებს. რამოდენიმე წუთის შემდეგ გაისმის ზარი, მაგიდის სახურავი აიხდება და მუშტარი ხედავს თავის წინ მის მიერ შეკვეთილ საჭმელებს. სადილობის შემდეგ, მაგიდის მეორე ნახვრეტიდან ის ღებულობს ანგარიშს, რის მიხედვითაც ის იხდის ფულს კასაში.

## ავტონომიურ ოლქების ს. ფ. მ. ს. მაზრების საინიციატივო ბიუროებს და 1, 2, 3, 4. ქალაქ თბილისის რაიონულ საბჭოებს.

ჩვენი რიგების განმტკიცება; უჯრედების წევრების აქტიური მუშაობის გაჩაღება მასაში და მისი გათვითცნობიერება და ჩვენი ყოველ-დღიური მუშაობა—ფინანსიური გაჯანსაღების მიზნით, დამოკიდებულია თქვენზე. თქვენ და იმ მასამ, რომელშიაც თქვენ გიხდებათ მუშაობა, უნდა იცოდეს თუ რა დანიშნულება აქვს ჩვენს საზოგადოებას, და რა მნიშვნელოვანია დღეს ჩვენი მიზნისა და ამოცანების განხორციელება. ეს უმთავრესი უნდა იცოდეს მასამ, ამიტომ საჭიროა, როგორც ზევით მოვიხსენიეთ, მასის გათვითცნობიერება ამ გადაუდებელ საქმის ცხოვრებაში გასატარებლად, რისთვისაც თვით ჩვენი საზოგადოების წევრებმა უნდა იდოს თავის თავზე შეგნებულად, ყოველივე დახმარების გაწევა ჩვენი რიგების განსამტკიცებლად, როგორც აგიტაცია-პროპაგანდით, ასევე ფინანსიური დახმარების მოგვარებით. არ არის საკმარისი წევრისათვის მარტო წევრობის წიგნაკის ტარება ან კიდევ ნიშნის, ამით ჩვენ ვერ მოვიხდით მოვალეობას დაკისრებულ ვალდებულობის წინაშე.

საჭიროა მეტი აქტივობა და დაუზარებელი შესრულება საქმის, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენს მიზნებს ვერ განვახორციელებთ. აუცილებლად, თქვენ ადგილზე უნდა გამონახოთ ისეთი წყაროები, რომელიც საშუალებას მოგვცემს ურყევი სიმტკიცისას, ეს იქნება საღამოების და წარმოდგენების დადგმა, ჩვენი გამოცემების გავრცელება, შეწირულება ინდივიდუალური და სხვა. საჭიროა დიდი სიფრთხილით მუშაობა შეთანხმებით ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებთან. უმთავრესად საჭიროა თვითეული შემოსული გროში დანიშნულებისამებრ იყვეს გადაცემული, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ მასაში ავტორიტეტს ვერ მოვიხვეჭთ. არის ბევრ ადგილას საქმის არა სწორი წარმოება, ამას ბოლო უნდა მოეღოს. ორი სამი თვის საქმის ურევიზიობა ადგილებზე ეს არა ნორმალური მოვლენაა, რასაც მეტი ყურადღება უნდა მიექცეს.

ამხანაგური სალამით პრ. წევრი ჟ. ბარამიძე.

## განცხადება.

## სამხკორთა და მუშკორთა დაახლოვების საღამო.

28 აპრილს წითელი არმიის და ფლოტის სახლში (კალინინის ქ. № 51) საღამოს 6 საათზე შესდგება სამხკორთა და მუშკორთა გაერთიანებული კრება.

დღის წესრიგი: 1) „კრასნი ვოინზე“ და სამხკორებზე—ამხ. ანჩარსკი.

2) მუშკორთა მუშაობაზე—ამხ. შაფათავა.

ამ კრებაზე დასწრება სავალდებულოა გაზეთ „წითელი არმიელის“ სამხკორთათვის.

## ვის აქვს საწინააღმდეგო?

**სამხედრო პოლიტიკურ სკოლის კომუჯრედში** შემოტანილი აქვს განცხადება პარტიის კანდიდატათ მიღების შესახებ ამავე სკოლის ადიუტანტს, სევერიანე ნიკოლოზის ძე ნადარაიას (სენაკის მაზრა).

ვისაც აქვს რაიმე საწინააღმდეგო აღნიშნულ ამხანაგის შესახებ, გთხოვთ გვაცნობოთ ორი კვირის განმავლობაში ამ მისამართით: თბილისი, სამხედრო პოლიტსკოლის კომუჯრედს.

მდივანი მითაიშვილი.

პასუხის მგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.

ნ. დ. ს. ც. სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3.